თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ТБИЛИССКИЙ ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ

ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო
СОВЕТ МОЛОДЫХ УЧЕНЫХ

შრომები
ТРУДЫ
XII

ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია
СЕРИЯ ГУМАНИТАРНЫХ И ОБЩЕСТВЕННЫХ НАУК

თბილისი 1986 ТБИЛИСИ

პ. ბუხრაშვილი

არქეოლოგიური კულტურისა და სამეურნეო კულტურული ტიპის ურთიერთმიმართებისათვის

ხალხის წარმოშობა-ჩამოყალიბების პროცესი (ეთნოგენეზი) სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინების (არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, წყაროთმცოდნეობის, ანთროპოლოგიის, ლინგვისტიკის და სხვა) კომპლექსური კვლევის საგანია, რამეთუ თავად ეთნოსი მრავალსახოვანი ფენომენია და მისი კვლევა მხოლოდ რომელიმე ერთი დარგის მეშვეობით ცალხრივი და არასრული იქნებოდა. კვლევის ამგვარი კომპლექსური ხასიათი მრავალ სიძნელეს ქმნის და ამ საკითხით დაინტერესებულ მკვლევარს რიგი პრობლემების წინაშე აყენებს, რომელთა დადებითად გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელია იმ სოციალურ-პოლიტიკური და ეთნიკური პროცესების წარმოშობა-ანალიზი, რომელთაც ადგილი აქვთ განსაზღვრულ რეგიონში, დროის განსაზღვრულ მონაკვეთში.

როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, ამა თუ იმ სამეცნიერო დისციპლინაში არსებობს ცნებები, რომლებიც ამომავალ წერტილს წარმოადგენენ მოცემულ სფეროში მომუშავე სპეციალისტებისათვის, თუმცა კი ჯერჯერობით არ არიან საკმაოდ ზუსტად განსაზღვრულნი. ამგვარი გარემოება ქმნის ერთობ ბუნდოვან, სემანტიკურ ფონს, რაც არცთუ ისე იშვიათად იწვევს მოცემული საკითხის გარშემო აზრთა და დასკვნების სხვადასხვაობას. ასეთი ცნებების რიგს განეკუთვნება ეთნოგრაფიაში გაგება სამეურნეო-კულტურული ტიპისა, ხოლო არქეოლოგიაში - არქეოლოგიური კულტურისა (4, 140).

თანამედროვე ეტაპზე მიღებული დებულებების თანახმად, სამეურნეო-კულტურული ტიპი გულისხმობს მეურნეობისა და კულტურის იმ თავისებურებათა ისტორიულად ჩამოყალიბებულ კომპლექსებს, რომლებიც ასახავენ სოციალურ-ეკონომიური განვითარების განსაზღვრულ დონეზე და მსგავს სამეურნეო-გეოგრაფიულ პირობებში მცხოვრებ ხალხს (11, 4). კულტურულ-ისტორიული ოლქის ცნებაში კი გაგებულია ტერიტორია, რომლის მოსახლეობასაც სოციალურ-ეკონომიური ერთიანობის, ხანგრძლივი კავშირების და ურთიერთგავლენის ნიადაგზე ჩამოუყალიბდათ კულტურულ-ყოფითი თავისებურებები (11, 10-11).

სამეურნეო-კულტურული ტიპებისა და ისტორიულ-კულტურული (ეთნოგრაფიული) ოლქების საკვალიფიკაციო სისტემებს სხვა პირველხარისხოვან დანიშნულებებთან ერთად არსებითი მნიშვნელობა აქვთ იმ კულტურულ-გეოგრაფიულ ერთობათა გაგებისათვის, რომლებიც გამოიყოფა არქეოლოგიაში და რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში "კულტურების" საერთო სახელწოდებითაა ცნობილი. მაშასადამე, დგება საკითხი სამეურნეო-კულტურული ტიპისა და არქეოლოგიური კულტურების თანაფარდობის შესახებ.

ტერმინი "კულტურა", უფრო ზუსტად "არქეოლოგიური კულტურა" გაგებულია რამდენიმე ცნების სახით. პირველ შემთხვევაში იგი იხმარება "ეპოქის", "დროის", "ეტაპის"... გაგებით. მაგ., "პალეოლითური კულტურა", "ბრინჯაოს ხანის კულტურა" და სხვ. (8, 19). არქეოლოგიურ ლიტერატურაში სიტყვით "კულტურა" აღინიშნება ძეგლთა ჯგუფი, რომელიც ხასიათდება მასში საგნების მსგავსებით, რომელთა სახელითაც ხშირად თვით კულტურა ღებულობს სახელწოდებას. მაგ., "ბრინჯაოს ცულების კულტურა", "კატაკომბების კულტურა" და ა. შ. (9, 37-40). ამასთანავე ხშირად ვხვდებით "კულტურის" ისეთ ინტერპრეტაციას, რომელიც ნაწარმოებია ყველაზე ტიპური ძეგლების სახელებიდან; მაგ., "ფატიანოვოს კულტურა", "ტრიპოლიეს კულტურა", "იანშაოს კულტურა" და სხვ. (11, 15). დაბოლოს, ზოგიერთ შემთხვევაში "არქეოლოგიური კულტურის" გაგებაში ეთნიკურ შინაარსს - "სკვითური კულტურა", "სარმატული კულტურა", "კელტური კულტურა" და ა. შ. (11, 15). თანამედროვე ეტაპზე კი არქეოლოგიაში ტერმინით "არქეოლოგიური კულტურა" აღინიშნება გარკვეული ხანისა და განსაზღვრულ ტერიტორიაზე გავრცელებული ადგილობრივი თავისებურებების მქონე არქეოლოგიურ ძეგლთა ერთობლიობა. არქეოლოგიური კულტურის გამოყოფის დროს ითვალისწინებენ დამახასიათებელი ნიშნების მთელ კომპლექსს - მეურნეობის ხასიათსა და განვითარების დონეს, დასახლების ტიპს, დაკრძალვის წესს, სამკაულს, იარაღს და კერამიკის ფორმებსა და ორნამენტაციას. არქეოლოგიური კულტურა, სპეციალისტთა უმრავლესობის აზრით, გარკვეული ეთნიკური ერთობის კუთვნილება უნდა იყოს (8, 20-22). ისინი ამოდიან თავიანთი პრაქტიკული საქმიანობიდან და თვლიან, რომ არქეოლოგიური კულტურისა და ეთნოსის შეთავსების შანსი იზრდება კულტურის სიძველესთან ერთად. ი. კამენიცკის აზრით, პირველყოფილი საზოგადოების პირობებში მისი შესაძლებლობა იმდენად დიდია, რომ შეიძლება პრაქტიკულად გავაიგივოთ კულტურა და ეთნოსი (8, 36). ეხება რა ეთნოგრაფიის პრობლემებს, ს. არუთინოვი

აღნიშნავს: "ყოველ ეთნოსს გააჩნია საკუთარი ყოფის გარემო, თავისი ტერიტორია, თავისი კოწკრეტულ-ისტორიული პირობები, თავისი განსაკუთრებული შემოგარენი... შესაბამისად ეთნოსები სხვადასხვანაირად რეაგირებენ ერთსა და იმავე გამოძახილზე, ერთსა და იმავე პრობლემაზე... ეთნოსთა განსხვავება ეს კულტურათა განსხვავებაა. კულტურა კი, რასაკვირველია, და ეს ფართოდაა აღიარებული სამამული კულტუროლოგიაში, არის საგოგადოების ადაპტაციის უნივერსალური მექანიზმი თავისი არსებობის ბუნებრივ და სოციალურ გარემოსთან (7, 83). ყოველივე ზემოთქმულისა და ამ საკითხისადმი მიძღვნილი ბრავალი სხვა წაშრომის გათვალისწინებით ცხადია, რომ ზოგადად "კულტურა" ეთნოსის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ფაქტორია და თვალ საეთრედ კულტურაში არქეოლოგიურ კულტურასაც გააჩნია თავისი ადგილი, მაშინ მათი (არქეოლოგიური კულტურისა და ეთნოსის) თანაფარდობა აუცილებლობის დონეზე ადია.

ეხებიან რა სამეურნეო-კულტურული ტიპისა და არქეოლოგიური კულტურის ურთიერთმიმართების საკითხს, ს. არუთიუნოვი და ა. ხაზანოვი აღნიშნავენ, რომ როცა საქმე გვაქვს სხვადასხვა, მაგრამ ახლომონათესავე კომპლექსებთან, რომლებიც მსგავსნი არიან ძირითადი სამეურნეო მაჩვენებლებით, საშუალება გვეძლევა, ვისაუბროთ სამეურნეო-კულტურული ტიპის ერთიანობაზე. აქვე დასძენენ, რომ ერთიანობა ეთნიკურზე უფრო მაღალი რანგისაა და მას სუპერეთნიკურობის დონეზე აყენებენ (4, 146). მათ სამეურნეო-კულტურული ტიპისა და არქეოლოგიურის თანაფარდობის სამი თეორიული ვარიანტი აქვთ დაშვებული: პირველი, როცა მათი საზღვრები ემთხვევა, ან ძირითადად ემთხვევა ერთმანეთს; მეორე, როდესაც ერთი სამეურნეო-კულტურული ტიპი მოიცავს რამოდენიმე წათესაურ და არმონათესავე არქეოლოგიურ კულტურას და მესამე, როცა არქეოლოგიური კულტურის სხვადასხვა ვარიანტები და სუბვარიანტები ეკუთვნიან სხვადასხვა სამეურნეო კულტურულ ტიპებს (4, 145). ამ სამი ვარიანტიდან ყველაზე ხშირია შეთანხვევა, როცა რამდენიმე არქეოლოგიური კულტურა თაფსდება ერთი სამეურნეო-კულტურული ტიპის საზღვრებში. ამის მაგალითად [illegible] მოყავთ ნეოლითური იაპონია, სადაც ძეთონის დიდი არქეოლოგიური კულტურის ჩარჩოებში (არქეოლოგიური კულტურა დამახასიათებელი თოკისებური ორნამენტით) გამოყოფილია ადრინი ლოკალური და ქრონოლოგიური კულტურები. მეორე ფორმა, ძეთონის ჩარჩოებ[illegible] არქეოლოგიური კულტურების განსხვავება და დიდი სიფრეალე არ შეიძლება დაკავშირებულ იქნას მოცემულ ტერიტორიაზე სავარაუდო ტომთა ეთნიკურ

ძანსხვავებულობასთან, რაც ეს ნაწილ ბაშინ უნდა ვაღიაროთ იაპონიის ყველა რაიონში მოსახლეობის მრავალჯერადი ეთნიკური ცვლილებანი, რისიც არავითარი საფუძველი არ არსებობს. დაშვებული უნდა იქნას, რომ ძალიან მყარ სამეურნეო-კულტურული ტიპის გაგაგზე, მოსახლეობის საკმაოდ ერთგვაროვანი და სტაბილური ეთნიკური შემადგენლობისას ძალზე ძლიერი გეოგრაფიული დანაწევრებისა და მაღალი ორწამენტალურ-შემოქმედებითი აქტივობის ფაქტორებმა წარმოშვეს კერამიკის ფორმათა ის სიჭრელე, რაზაც მკვლევრები მიუყვანა ასეთი მრავალრიცხოვანი კულტურების გამოყოფამდე იაპონიის ნეოლითში (4, 126).

რაც შეეხება შემთხვევებს, როცა ერთიანი არქეოლოგიური კულტურა ან მისი ცალკეული ვარიანტები ეკუთვნიან სხვადასხვა სამეურნეო-კულტურულ ტიპებს, აღმაჩ საკარაუდოა, რომ ისინი ძალზე იშვიათია და ყოველთვის არ იძლევიან ერთგვაროვანი ინტერპრეტაციის საფუძველს (4, 145). საბოლოდ ს. არუთინოვი და ა. ბაგანოვი დაასკვნიან, რომ მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში განსხვავებამ არქეოლოგიურ კულტურებს მორის შეიძლება ასახოს რეალური ეთნიკური განსხვავებანი სამეურნეო-კულტურული ტიპის ჩამოყალიბებაში და იქვე დასძენენ, რომ "უფრო ხშირად არქეოლოგიური კულტურა არ შეიცავს მისი მატარებლის ეთნიკური კუთვნილების ინფორმაციას (4, 146). ვფიქრობთ, ამგვარი მიდგომა საკვლევი საკითხისადმი ერთობ კატეგორიულია, რაც საშუალებას გვაძლევს, კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ მას.

არქეოლოგიური კულტურისა და ეთნოსის კორელაციის თვალსაზრისით საყურადღებოა ნ. ჩებოქსაროვის განმარტება ეთნოსისა, რომლის მიხედვითაც "ეთნიკურ ერთობად შეიძლება ჩაითვალოს ყველა ერთობა, რომელიც იქნება გარკვეულ ტერიტორიაზე იმ ადამიანთა მორის, რომლებიც ერთმანეთთან რეალური სოციალურ-ეკონომიკური კავშირით არიან დაკავშირებულნი, ლაპარაკობენ ურთიერთგასაგებ ენაზე, ინარჩუნებენ, როგორც წესი, მჭელი თავისი არსებობის მანძილზე სპეციფიკას და ალარებენ თავს ცალკე, დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ჯგუფად" (16, 12). იქვე აღნიშნავს, რომ საბოლოო ჯამში გადამწყვეტს ეთნიკური თვითშეგნების ფაქტორი წარმოადგენს.

მაინც რა არის ეთნოსის განმსაზღვრელი წიშანი? სვამს კითხვას ი. კოზენეცკი და პასუხობს: "ითქმის ყველა მკვლევარი პირველ რიგში აყენებს ენას. ასევე ალბარებულია ისიც, რომ ენა არ არის ეთნოსის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორი. მეორე ადგილზე

ასახელებენ კულტურას, თითქმის თანაბრად მოდის შემდგომ ტერიტორიის ერთობა და ყოფის თავისებურებანი. ამ ნიშნებთან ერთად მოიხსენიება ეკონომიკური კავშირები, სახელმწიფო კუთვნილება და სამეურნეო ჩვევები (8, 31-32). ჩამოთვლილ ნიშანთაგან კულტურა ერთ-ერთი მთავარი და ძირითადია. ეხება რა კულტურის, კერძოდ, სულიერი კულტურის როლს ეთნოსის ფორმირებაში, კ. ჩისტოვი აღნიშნავს: "ყოველი ხალხის (ეთნოსის) სულიერი კულტურა არის არა მარტო ორგანული შემადგენელი ნაწილი მისი მთლიანი კულტურისა, არამედ იგი განიცდის კიდეც უმძლავრეს და პირდაპირ გავლენას ეთნიკური შემეცნებისა", რომელიც ერთ-ერთი მთავარი ძალაა ეთნოსის ფორმირების პროცესში. ეთნიკური შემეცნება სულიერი კულტურიდან ფორმირებულ რელიგიათან ერთად ქმნის ეთნოსის პოპულაციის ძირითად ძალას (17, 72).

პრაქტიკიდან აღმოცენებული რელიგია თავის ადრეულ ფორმებში და შემდგომაც ასრულებდა პრაქტიკულ ფუნქციებს. როგორც აღნიშნავს ს. ტოკარევი, "მარქსისტული შეხედულების თანახმად რელიგია სოციალური მოვლენაა, იგი ერთ-ერთი საზოგადოებრივი შემეცნებათაგანია. სხვანაირად რომ ვთქვათ, იგი ერთ-ერთი ფორმაა ადამიანთა შორის "იდეოლოგიური" დამოკიდებულებისა. აქედან გამომდინარეობს თვით განსაზღვრა რელიგიისა: იგი არ არის იმდენად ურთიერთობა ადამიანისა ღმერთებთან (ღმერთთან), არამედ ურთიერთობა ადამიანებს შორის ღმერთებზე (ღმერთზე) წარმოდგენების საფუძველზე" (13, 91). მეცნიერის ამ თეზისმა თავიდანვე აზრთა სხვადასხვაობა და კამათი გამოიწვია, რომელიც "Советская этнография"-ს ფურცლებზე მიმდინარეობდა 1980 წელს. ვფიქრობთ, ამგვარი მიდგომა რელიგიისადმი ერთადერთი სწორი და გამართლებული მიდგომაა, ამიტომ "რელიგიის, როგორც საზოგადოებრივი შემეცნების ფორმის არსებით მხარეს წარმოადგენს არა რელიგიური რწმენა-წარმოდგენების შინაარსი, არამედ რელიგიის სოციალური ფუნქცია; ამიტომ რელიგიის მკვლევრის მთავარი ამოცანაა არა რელიგიური ფანტაზიის სახეების არსში ჩაწვდომა..., არამედ შესწავლა იმ სოციალურ-კულტურული გარემოსი, იმ კონკრეტული ისტორიული პირობებისა, როცა იქმნებოდა ეს სახეები, ადამიანთა იმ ჯგუფებისა, მათი შეკავშირებისა და პირიქით გათიშვისა, რომლებიც აისახებოდა რელიგიური შეხედულებების ჩამოყალიბებაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ საკითხით დაინტერესებული მკვლევარი უნდა სწავლობდეს იმ ისტორიულ ვითარებას, რომელშიც რელიგია ყალიბდება და ფუნქციონირებს (10, 72).

ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, რომ თუ ეთნოსი განსაზღვრულია მატერიალური კულტურით, რელიგიით, ეკონომიური კავშირებით და სამეურნეო ჩვევებით, არქეოლოგს შეუძლია მისი გამოყოფა. უფრო მეტიც, აღგათ შესაძლებელია ნიშანთა ჯგუფებით განსაზღვრული ეთნიკური ერთობების გამოყოფაც.

ამიტომ ვფიქრობთ, რომ სამეურნეო-კულტურული ტიპისა და არქეოლოგიური კულტურის კორელაციის პირობებში (იქნება ეს ვერტიკალურ თუ ჰორიზონტალურ ჭრილში), საკვლევი მასალის სკურპულოზური და კომპლექსური შესწავლის შედეგად შესაძლებელია მეტნაკლებად აისახოს ეთნიკური მომენტიც. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართული ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალების ანალიზი ამგვარი მიდგომის შედეგად საყურადღებო მეცნიერულ დასკვნებამდე მიგვიყვანს.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. მ. გეგეშიძე, ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, თბ., 1978.

2. გ. მამულია, კლასობრივი საზოგადოება და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართულში, თბ., 1979.

3. ვ. შამილაძე, სამეურნეო-კულტურული ტიპები და არქეოლოგია, ხელნაწერი, ბათუმი, 1983.

4. С.А.Арутюнов, А.М.Хазанов, Археологические культуры и хозяйственно-культурные типы, "Проблемы типологии в Этнографии", сб. ст., М., 1979.

5. Андрианов Б.В., Хозяйственно-культурные типы и исторический процесс, СЭ, №2, 1968.

6. Андрианов Б.В., Чебоксарев Н.Н., Историко-этнографические области, СЭ, № 3, 1975.

7. Арутюнов С.А., Об условности понятия "этнопсихология", СЭ, № 2, 1983.

8. Коменецкий И.С., Археологическая культура-ее определения и интерпретация, СА, № 2, 1970.

9. Клейн Л.С., Проблема определения археологической культуры, СА, № 2, 1970.

10. Крывелев Н.А., О существенном и несущественном в изучении религии, СЭ, № 1, 1980.

II. Левин М.Г., Чебоксарев Н.Н., Хозяйственно-культурные типы и историко-этнографические области, СЭ, № 4, 1955.

I2. Толстов С.П., Проблемы дородового общества, СЭ,№ 3-4, 1931.

I3. Токарев С.А.,О религии как социальном явлении, СЭ, № 3, 1979.

I4. Левин М.Г., К проблеме исторического соотношения ХКТ Северной Азии, КСИЭ, II, 1947.

I5. Чебоксарев Н.Н., Проблема происхождения древних и современных народов, УП, МЖАЭН, М., 1964.

I6. Чебоксарев Н.Н., Чебоксарева И.А., Народы,расы, культуры, М., 1971.

I7. Чистов К.В., Этническая общность,этническово сознание и некоторые проблемы духовной культуры, СЭ,№3,1973.

ეთნოგრაფიის კათედრა

მ. ოძელი
ნ. გაფრინდაშვილი

ისტორიული მატერიალიზმის მეთოდოლოგიური მნიშვნელობა ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევაში

ლიტერატურათა ურთიერთობები ისტორიული კატეგორიაა და სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული ინტენსივობით, ხარისხით, შინაარსითა და ფორმით ვლინდება. კარლ მარქსი წერდა: "თავიანთი ცხოვრების საზოგადოებრივი წარმოებისას ადამიანები ერთმანეთთან ამყარებენ განსაზღვრულ, აუცილებელ, მათი ნებისაგან დამოუკიდებელ ურთიერთობას, - წარმოებით ურთიერთობას, რომელიც მათ მატერიალურ მწარმოებლურ ძალთა განვითარების განსაზღვრულ საფეხურს შეესაბამება. ამ წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა შეადგენს საზოგადოების ეკონომიკურ სტრუქტურას, რეალურ საფუძველს, რომელზედაც იურიდიული და პოლიტიკური ზედნაშენი აღიმართება და რომელსაც სა-